

"ადამიანის უფლებები ახალგაზრდა ევროპელების ხედვა"

ივლისი - ნოემბერი 2010 წელი. დაფინანსებულია "ახალგაზრდობა მოქმედებაში" პროგრამის საფრანგეთის ეროვნული სააგენტოს და ქალაქ სტრასბურგის მიერ

2010 წლის 4 ნოემბერს აღინიშნა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის 60 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, ქალაქ სტრასბურგმა, სადაც მდებარეობს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, სხვა საერთაშორისო და ევროპულ ინსტიტუტებთან ერთად გადაწყვიტა განეხორციელებია პროექტი რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ინფორმირებულობას ადამიანის უფლებების კონვენციის შესახებ.

პროექტის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის, გერმანიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პოლონეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. გაიმართა მრავალი საინტერესო შეხვედრა სხვადასხვა ევროპული ინსტიტუტების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმომადგენლებთან. შეიქმნა ახალგაზრდა ელჩების ქსელი რომელიც ევროპაში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარების სფეროებში მიიღებს მონაწილეობას.